პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 77 (19818) ხუთშაბათი, 2 აპრილი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.



სსრ კავშირი: ძმობის მისამართები

საბჭოთა მსტონეთი

წლეულს საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა ზეიმით აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს.

დღეიდან გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე რუბრიკით—„სსრ კავშირი: ძმობის მისამართები“ რეგულარულად გამოქვეყნდება მასალები, რომლებშიც ნაჩვენები იქნება, რევოლუციიდან დღემდე განვლილი 70 წლის მანძილზე თუ რაოდენ თვალსაჩინო, ძირეული სასიკეთო გარდაქმნები მოხდა დიად საბჭოეთში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერ დარგში, სფეროში, უბანზე, აგრეთვე ის, თუ როგორ იღვწიან ისინი სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუოდ ხორცშესხმის, ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის.

დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც საკდესისა და „კომუნისტის“ კორესპონდენტებმა მოამზადეს, ეძღვნება ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

არჩევნების შესახებ

ბევნს რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ ქვეყანაში, დაიწყო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიისათვის მზადება — 1987 წლის 21 ივნისს გაიმართება საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის ადგილობრივი საბჭოებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები.

ხალხის ადგილობრივი ხელისუფლების ყველაზე მასობრივი ორგანოების არჩევნები ყოველთვის დიდი პოლიტიკური, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო მშრომელთა ცხოვრებაში. წელს კი იგი ისეთ ვითარებაში აღინიშნება, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი მზადებაა გაჩაღებული ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისათვის, პარტიის ნებით მიმდინარეობს უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობის გარდაქმნები, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა და განვითარება, ისეთი სახელმწიფოებრივი ღონისძიებები ხორციელდება, რომლებიც ხელს უწყობენ დიდ სასიკეთო ძვრებს, ქვეყნის წინსვლას, ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებას.

არჩევნების მოსამზადებლად და წარმატებით ჩასატარებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო საგანგებო დადგენილება, რომელიც დიდმნიშვნელოვანი საპროგრამო და სახელმძღვანელო დოკუმენტია რესპუბლიკის ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციისათვის. მის მიხედვით უნდა გაჩაღდეს მუშაობა, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შედგეს კონკრეტული გეგმები, რეგლამენტები, შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც შემდეგ გაანურჩლად უნდა სრულდებოდეს არჩევნებისათვის მზადების ყველა ეტაპზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მზადების მთელ პერიოდში მშრომელებმა სრულად გამოიყენონ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები, საბჭოური დემოკრატიული საარჩევნო სისტემის ფართო შესაძლებლობანი. ყველაფერი უნდა კეთდებოდეს იმისათვის, რომ მთელმა საარჩევნო კამპანიამ და თვით არჩევნებმა, პარტიული ორგანიზაციების და კომუნისტების ხელმძღვანელმა, დამრაზმველმა და წარმმართველმა საქმიანობამ ხელი შეუწყოს იმ საარსებო ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დასახულია სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადწყვეტილებაში.

პარტიული ორგანიზაციების, საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განსაკუთრებული მზრუნველობაა საჭირო იმ ექსპერიმენტის მიმართ, რომელიც მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით ეწყობა. აქ ზუსტად უნდა დაიცვათ დემოკრატიულობის პრინციპები და მოთხოვნები, რომლებზეც ლაპარაკია პრესაში უკვე გამოქვეყნებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში და სხვა დოკუმენტებში.

მართლაც რომ, დიდი და მნიშვნელოვანია ხალხის სიკეთისათვის, სახელმწიფოს ძლიერებისათვის ის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა, რომელსაც რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ახლანდელი შემადგენლობა ეწევა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

საბჭოები, მათი დეპუტატები მუდამ იყვნენ და არიან დიდი აღმშენებლობითი შრომის, პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლის პირველ რიგებში. ამაზე მეტყველებს მათი ყოველდღიური საქმიანობა, მასობრივ მოძრაობებში მონაწილეობა და წინამძღოლობა. ჩვენი საბჭოები ახლა უდიდეს ძალას წარმოადგენენ ადგილებზე წარმოების განვითარების, პარტიის სოციალური პროგრამის განხორციელების საქმეში: განსაკუთრებულია მათი როლი საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის გეგმების შესრულებაში, გზების, ქუჩების, მოედნების, ეზოების კეთილმოწყობასა და სხვა სამუშაოებში. ისიც აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი საბჭოების აქტიურ, შემოქმედებითს და ინიციატივიან შრომაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულება, პარტიის მიერ შემუშავებული გარდაქმნისა და დაჩქარების ის პროგრამა, რომელიც ახლა ხორციელდება შთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში.

ერთი სიტყვით, უაღრესად მნიშვნელოვანი და ხალხისათვის მეტად სასიკეთოა ის საქმიანობა, რომელსაც საბჭოები ეწევიან შრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მათი ცხოვრების გალამაზებისა და გამშვენიერებისათვის, სადღეისო, საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტისათვის, პარტიის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის. სწორედ ამიტომ არის, რომ პარტია ყოველთვის მხარს უჭერს და ზრუნავს ქვეყნის ცხოვრებაში საბჭოების როლისა და ქმედითობის გაძლიერებისათვის. ცხადია, თავისთავად საბჭოების დეპუტატთა მთელი საქმიანობა, ამომრჩეველთა განაწესების განუხრელი შესრულება იმას ემსახურება, რომ ხელი შეუწყოს და გააძლიეროს ის მაცოცხლებელი სიო, რომელიც მიმართულია რესპუბლიკაში ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის, ცხოვრების ყველა უბანზე და რგოლში ჯანსაღი კლიმატის შექ�ეფექტურობისათვის.

დიდია ამოცანები და მნიშვნელოვანია პრობლემები, რომლებიც მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ და მოაგვარონ. აქედან უნდა ვიზრუნოთ საიმისოდ, რომ საარჩევნო კომისიებისათვის შერჩეს კარგად მოწყობილი და ტელეფონით უზრუნველყოფილი შენობები. საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან თავიანთი სამსახურების მუშაობის შესახებ ანგარიშები ჩაბარონ ხესიებს, შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილებში გამართულ კრებებს, უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა და სახალხო მოსამართლეთა ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე, დაეხმარონ დეპუტატებს მათთვის მიცემული განაწესების შესრულების შესახებ ინფორმაციის მომზადებაში. ცხადია, ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის ყველა ეტაპზე უნდა ვიზრუნოთ დემოკრატიის პრინციპების განუხრელი დაცვისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისა და განხილვის პროცესის სრულყოფასა და დეპუტატის მოთხოვნათა მტკიცედ დაცვას. კრებებზე, რა თქმა უნდა, განხილება რამდენიმე კანდიდატური და მათი დასახელების საკითხი საჯაროდ, სრული დემოკრატიის შესაბამისად უნდა გადაწყდეს. ამ საქმეში მთავარია ვეფრძოლოთ ფორმალიზმს და პარადოქსობას. შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილებში კრებებზე დეპუტატების, სახალხო მოსამართლეებისა და საბჭოების აღმასკომების ანგარიშების მოსმენისას, აგრეთვე არჩევნებისწინა კრებებზე საქმიანი მსჯელობა უნდა გაიმართოს სამეურნეო, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი მუშაობის საქმეში არსებული მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებული საზრუნავი და საპასუხისმგებლოა ის პერიოდი, როცა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება დაიწყება. აქ უკვე ყველას გვმართებს დიდი პოლიტიკური სიფხიზლე და სიფრთხილე, რათა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების, სახალხო მოსამართლეთა კანდიდატებად დავასახელოთ პატიოსანი და კეთილსინდისიერი მოქალაქეები, რომლებსაც ხალხი უნდობა და პატივს სცემს.

ადგილობრივი საბჭოების, სახალხო მოსამართლეების მომდინარე საარჩევნო კამპანია დეპუტატთა და მოსამართლეთა მოღვაწეობის ნამდვილი საყოველთაო-სახალხო დათვალიერება იქნება. მათ მიერ განუწყვეტელი მუშაობის, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საუკეთესოები და ყოველმხრივი ანალიზი დაგვეხმარება განვაზოგადოთ და გავაუმჯობესოთ დადებითი გამოცდილება, გამოვავლინოთ ნაკლოვანებები და ხარვეზები, ყურადღება მივაპყროთ გადაუჭრელ პრობლემებს, მთელი ძალები წარმართოთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. რა თქმა უნდა, მომდინარე საარჩევნო კამპანიის პირველი დღეებიდანვე პარტიის რაიკომები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ამომრჩეველებში, მშრომელთა მასებში ფართოდ გააჩაღონ ორგანიზატორული, მასობრივი საგაგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა. ყველგან და ყველა უბანზე გულმოდგინედ უნდა ვიმუშაოთ, რათა მშრომელთა ფართო მასებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, განუმარტოთ საბჭოთა საარჩევნო სისტემის არსი, იმ ექსპერიმენტის მნიშვნელობა, რომელიც მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით ეწყობა. ახლა ამოცანა ის არის, რომ პარტიული ორგანიზაციების, აგიტპუნქტებისა და ამომრჩეველთა კლუბების, აგიტატორების, პოლიტინფორმატორების, პროპაგანდისტების მთელმა მუშაობამ ხელი შეუწყოს რესპუბლიკის მშრომელთა დარაზმას ახალი შრომითი წარმატებისათვის, მათ კიდევ უფრო შეკავშირებას პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობის შემდგომი განმტკიცება საარჩევნო კამპანიის წარმატების გადამწყვეტი პირობა, მომავალ არჩევნებში საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების ხორცშესხმის საწინდარი იქნება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

31 მარტს გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენის — „70 წელი ოქტომბრის დროშით“ — საქართველოს განყოფილების მოწყობისა და მოსკოვში საქართველოს სს რესპუბლიკის დღეების გამართვის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა მეურნეობრიობის ახალ პირობებზე დარგის გადაყვანის უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი და არადამაკმაყოფილებლად ცნო ეს მუშაობა — სამინისტროს კოლეგიას და მინისტრ ჯ. სალიას მიეთითათ, რომ სისტემური ორგანიზატორულ მუშაობას არ ეწევიან მეურნეობრიობის ახალ პირობებში დარგის ფუნქციონირების ეფექტიანობის გასაზრდელად. ბიურომ მოსთხოვა მათ განახორციელონ საქმიანობის ძირეული გარდაქმნის, გამოვლენილ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივი აღმოფხვრის, მოსახლეობის მომსახურების დონის ყოველმხრივი ამაღლებისათვის ახალი სამეურნეო მექანიზმის უპირატესობათა აქტიური გამოყენების გადამწყვეტი ღონისძიებანი. სამინისტროს პარტიულ ბიუროს და საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის პირველადს პარტორგანიზაციებს დაევალათ გააძლიერონ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, რათა კოლექტივებში შექმნან ურთიერთმომთხოვნელობისა და მომკითხველობის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, გაზრდონ თითეული კომუნისტის, ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სისტემის ყველა რგოლში ეკონომიკური მუშაობის გაუმჯობესება, შიდასაწარმოო დაგეგმვისა და სამეურნეო ანგარიშის სრულყოფა, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმების აქტიური გამოყენება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა სკკპ წევრის, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაობა წარმოების განვითარებისა და სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციის მართვის სისტემის შექმნისათვის არასაკმარისად ცნეს. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სამინისტროს ხელმძღვანელობისა და პარტიულ ორგანიზაციას დაავალა შექმნან სახალხო მოხმარების საქონლის ვამოშვების მართვის მწყობრი სისტემა, უზრუნველყონ სამშენებლო პროფილის საქონლის ასორტიმენტის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა შრომითმა კოლექტივებმა გაზარდონ აქტიურობა საგებგმო დავალებათა უთუოდ შესრულებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების კომპლექტაციური პროგრამის რეალიზაციის საქმეში.

განიხილეს რესპუბლიკის გაზის მეურნეობის უსაფრთხო ექსპლოატაციისა გაზრდისათვის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა საკითხი. საქართველოს სსრ გაზის სახელმწიფო კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, სამინისტროებისა და საწარმოების მუშაობა ამ მიმართულებით არასაკმარისად ცნეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი და პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა დაუწესონ მუდმივი კონტროლი გაზის მეურნეობის უსაფრთხო ექსპლოატაციის შემდგომი გაძლიერებისათვის მუშაობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთ სხვა საკითხზეც.

ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი

1 აპრილს თბილისში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით იმყოფება.

მასთან ერთად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი ჯ. ჰაუ, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ. კარტლეჯი, სხვა ოფიციალური პირნი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. გ. კოვალიოვი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც ახლავან საპატიო სტუმარს ქვეყანაში მოგზაურობის დროს.

დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებით მორთულ თბილისის აეროდრომზე პრემიერ-მინისტრ დახვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროპორტიდან მ. ტეტჩერი, ო. ე. ჩერქეზია მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით გაემართნენ საპატიო სტუმრისათვის გამოყოფილ რეზიდენციაში.

ქუჩებში და მოედნებზე, რომლებითაც ავტომანქანების კორტეჟმა ჩაიარა, გამოფენილი იყო დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები.

(საკინფორმი).

სურათზე: შეხვედრა თბილისის აეროპორტში.

სურათზე: საუბრის დროს.

მ. დათიკაშვილისა და ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მარგარეტ ტეტჩერი თბილისში

1 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია ესაუბრა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მარგარეტ ტეტჩერს.

ო. ე. ჩერქეზიამ გააცნო სტუმარს რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიღწევები და პერსპექტივები, მუშაობა, რომელიც წარმოეს საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ცხოვრების ყველა სფეროს განახლებისა და გარდაქმნისათვის.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს მ. ს. გორბაჩოვისა და მ. ტეტჩერის შეხვედრას, და მიაჩნიათ, რომ იგი ახალი ნაბიჯია უფრო უსაფრთხო მსოფლიოს სასარგებლოდ გადაწყვეტილებათა ძიების, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გზაზე. კმაყოფილებით აღიქვეს მოსკოვში შეხვედრის დროს გამოთქმული საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა სურვილი გაფართოდეს და გაღრმავდეს პოლიტიკური დიალოგი, კიდევ უფრო მჭიდრო კავშირურთიერთობა განვითარდეს ორ ქვეყანას შორის.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის კონტაქტების შემდგომი გაფართოებისათვის მოსკოვში ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის დოკუმენტებს — შეთანხმებებს სხვადასხვა დარგში, მემორანდუმს ინფორმაციის, კულტურისა და განათლების სფეროში თანამშრომლობის ახალ მიმართულებათა გამო ორი მთავრობის ურთიერთგაგების შესახებ.

მ. ტეტჩერმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის, თანაგრძნობა გამოუცხადა ქართველ ხალხს სტიქიური უბედურების გამო, რესპუბლიკას რომ დაატყდა თავს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა სსრ კავშირში თავის ვიზიტს წარმატებული უწოდა. ვიმედოვნებ, თქვა მ. ტეტჩერმა, რომ იგი ხელს შეუწყობს ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. გ. კოვალიოვი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, ბრიტანეთის მხრივ — დიდ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი ჯ. ჰაუ, დიდ ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ. კარტლეჯი და პრემიერ-მინისტრის სხვა თანმხლები პირნი.

გაეცნო რა რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, დიდ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დათვალიერა ქალაქის ისტორიული ნაწილის რესტავრირებული უბნები, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საზეიმო რიტუალების სასახლე.

მ. ტეტჩერმა გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი გამარჯვების პარკში. საპატიო სტუმრის პატივსაცემად შესრულდა დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ცერემონია დამთავრდა საპატიო ყარაულის ჩავლით.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი თბილისის ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრო საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტს.

დარბაზში გამოფენილი იყო დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები.

ძ. ტეტჩერმა სიტყვები წარმოთქვეს.

* * *

საღამოს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი თბილისიდან ლონდონს გაემგზავრა.

თბილისის აეროპორტში საპატიო სტუმარი გააცილეს ო. ე. ჩერქეზიამ, ვ. მ. კამენცევმა, ზ. ა. ჩხეიძემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში ლ. მ. ზამიატინი, დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ. კარტლეჯი.

(საკინფორმი).

საუბარი კრემლში

31 მარტს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის საუბარი.

აღინიშნა ფართო წრის საერთაშორისო პრობლემებისა და ორმხრივი ურთიერთობის საკითხების შესახებ ამ დღეებში მიმდინარე საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის აზრთა გაზიარების სარგებლიანობა, აგრეთვე სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობისა და მათი ფართო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობათა ურთიერთკავშირი. საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაცია შესაძლებელს გახდიდა, რომ მატერიალური რესურსები და ძალისმხეთა მოხმარდეს იმ მრავალი საარსებო ეკონომიკური და სოციალური ამოცანის გადაწყვეტას, რომლებიც დღეს დგას კაცობრიობის წინაშე.

ყველა ხალხის უშიშროების საუკეთესო გარანტიაა, თქვა ნ. ი. რიჟკოვმა, არა ბირთვული დაშინების პოლიტიკა, რომლის პოზიციდანაც განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებს დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობა, არამედ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ნდობის განმტკიცების სხვა თანამიმდევრული ღონისძიებები.

გამოთქვა იმედი, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვითარების ძირეულ საკითხებზე ორი ქვეყნის უკეთეს ურთიერთგაგებას, აგრეთვე მათი ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირურთიერთობის განვითარებას.

მ. ტეტჩერი დაინტერესდა ჰუმანიტარული თანამშრომლობის პრობლემებით, რომელიც, მისი აზრით, მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანთა კონტაქტების გაძლიერებას, ურთიერთინფორმირებულობის დონის ამაღლებას და საშუალებას აძლევდეს ხალხებს გაიცნონ ერთმანეთის ცხოვრება ნდობის განმტკიცების მიზნით.

ნ. ი. რიჟკოვმა აღნიშნა, რომ ინფორმაციის აქტიური გაცვლა, მშვიდობის იდეებს გავრცელება და ერთმანეთის ცხოვრების უკეთ გაცნობა მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობდა საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ურთიერთობაში თანამშრომლობის სულისკვეთების გაძლიერებას და საბჭოთა კავშირიც კონსტრუქციულ პოზიციას ადგას ყველა ამ საკითხში. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, როცა დასავლეთის ბევრი ინფორმაციის საშუალებანი და სახელმწიფო მოღვაწენიც კი ცდილობენ შექმნან დამაბინეჯებული წარმოდგენა საბჭოთა ადამიანებზე, ჩირქი მოსცხონ საბჭოთა სინამდვილეს.

საუბრის დროს დაწვრილებით განიხილეს ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები.

ნ. ი. რიჟკოვმა გამოთქვა რწმენა, რომ ორივე მხარის კეთილ ნებისა და მეცადინეობის პირობებში შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს ორმხრივი ვაჭრობა, რაზეც მ. ს. გორბაჩოვმა ილაპარაკა 1984 წლის დეკემბერში დიდ ბრიტანეთში ყოფნის დროს. საბჭოთა კავშირმა ბრიტანეთის მხარეს შესთავაზა ამ მიზნის მისაღწევი კონკრეტული გზები. ამასთან ნ. ი. რიჟკოვმა მ. ტეტჩერის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამას აბრკოლებს სხვადასხვაგვარი შეზღუდვები და დისკრიმინაციული ღონისძიებანი, რომლებსაც დასავლეთში, მათ შორის ინგლისში მიმართავენ სსრ კავშირთან ვაჭრობაში. ხაზგასმით აღინიშნა ავიეთვე, რომ მთელ რიგ საკითხებზე, რომელთა გამო ამჟამად მიმდინარეობს საბჭოთა ორგანიზაციებისა და ბრიტანეთის ფირმების მოლაპარაკება, პრაქტიკულ მორგებათა მიღწევის დიდმნიშვნელოვანი პირობაა, რამდენად კონკურენტუნარიანი გამოდგება ინგლისის წინადადებები სხვა ქვეყნების წინადადებებთან შედარებით.

თავის მხრივ მ. ტეტჩერმა დაადასტურა დიდი ბრიტანეთის დინტერესება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარებით და გაფართოებით და თქვა, რომ მისი მთავრობა აქტიურად შეუწყობს ხელს ამ მიზნის მისაღწევად გამიზნულ ღონისძიებათა განხორციელებას. პრემიერ-მინისტრმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ბოლო წლებში დიდ ბრიტანეთში მიმდინარე მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნა ქმნის პირობებს მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.

ნ. ი. რიჟკოვმა განმარტა, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის პირობებში დასავლეთის საქმიან წრეებს სსრ კავშირთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების დიდი შესაძლებლობები ესახებათ, და განსაკუთრებით ვაუსვა ხაზი იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბრიტანეთის ფირმების მიერ თანამშრომლობის ახალი ფორმების — სამრეწველო კოოპერაციის აქტიურ გამოყენებას, ერთობლივი საწარმოების შექმნას, ორივე ქვეყნის მეცნიერთა მიერ კვლევითი და სამეცნიერო-კონსტრუქციული სამუშაოების შესრულებას.

მან იმედი გამოთქვა, რომ ინგლისის მთავრობა ხელს შეუწყობს ბოლო ხანს დადებული საბჭოთა კავშირ-ინგლისის ბევრი სასარგებლო შეთანხმების პრაქტიკულ ხორციშესხმას.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაანახორციელებენ ურთიერთსაქონელბრუნვის მოცულობის გადიდების, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოების პრაქტიკულ ღონისძიებებს.

საუბარი საქმიან კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა. საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ლ. ტოლსტიხი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ. ი. არისტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. გ. კოვალიოვი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ლ. მ. ზამიატინი; ინგლისის მხრივ — საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი ჯ. ჰაუ, დიდ ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ. კარტლეჯი, პრემიერ-მინისტრის სამდივნოს უფროსი ნ. უიქსი, სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

1 აპრილს მოსკოვიდან თბილისს გაემგზავრა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით.

გამგზავრების წინ კრემლის დიდი სასახლის გორგის დარბაზში გაიმართა დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის გაცილების ცერემონია.

მ. ტეტჩერს დაემშვიდობნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი და მისი მეუღლე, უსურვეს მას კეთილი მგზავრობა.

მ. ტეტჩერმა თქვა, რომ ძალაფლია საბჭოთა კავშირში ვიზიტის შედეგებით, და მიაჩნია, რომ ჩვენმა ქვეყნებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ ყველა დარგში, როგორც საერთაშორისო, ისე ორმხრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ დარგებში, დიალოგის განვითარების გზაზე.

მ. ს. გორბაჩოვმა პასუხად თქვა, რომ მისი აზრითაც ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ორმხრივი კავშირურთიერთობისათვის, ისე საერთაშ



ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

„ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ“ ადგილი: ესტონეთის სსრ, ქალაქი რაკვერე. სამუშაო ადგილი — ტიუმენის ოლქის ქალაქი კოგალიმი“.

ეს არის „ტალინმშენის“ ტრესტის „კრაზების“ მძღოლთა კომპლექსური ბრიგადის წევრის ლემბიტ პოტის ანკეტის ნაწყვეტი. იგი, ისევე როგორც მისი სამასზე მეტი ამხანაგი, აი უკვე მეშვიდე წელია სავახტო წესით ამენებს მენავთობეთა ახალ ქალაქს დასავლეთ ციმბირში, მშობლიური სახლიდან სამი ათას კილომეტრზე.

— ახლა უკვე მიძნელდება განვსაზღვრო, ორი სახლიდან რომელია უფრო ახლობელი — რაკვერის ბინა თუ კოგალიმის საერთო საცხოვრებელი, — გვითხრა ლემბიტმა. იგი მოხერხებულად იჯდა თვითმფრინავის სავარძელში, რომელიც სპეცრეისით მიფრინავდა ტალინ-სურგუტის მარშრუტით. — ხათესავები ესტონეთში, სამუშაო — ტიუმენის ოლქში. ძნელია უნათესავებოდაც, ისიც ძნელია, რომ ცა, საინტერესო სამუშაო არა გაქვს. მაგრამ სავახტო შეთოდმა ხელი შეუწყო ამ პრობლემის გადაჭრას: ერთი თვე საჭეს ვუზიგარ ჩრდილოეთში, ერთი თვე შინ ვიმყოფები.

სანამ „ფრთოსან ავტობუსს“ — ასე უწოდებენ თვითმფრინავს მევახტეები — ღრუბლისმიერი ხიდით სამუშაოზე გადაჰყავდა მშენებელთა მორიგი ცვლა, ლემბიტს ვთხოვე გაეხსენებინა კოგალიმში ესტონეთის დესანტის პირველი დღეები. მაშინ ეს იყო ჰატარა, ტაიგაში მიკარგული ხანტის დაბა, სადაც რამდენიმე ასეული მცხოვრები ბინადრობდა. მაგრამ სწორედ აქ აღმოაჩინეს ნავთობის მდიდარი ბუდობები. და აი, ზუსტად ერთ წელიწადში

ᲐᲮᲐᲚᲓᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ

კოგალიმის მოსახლეობა ათჯერ გაიზარდა. დაბა გახდა ზურგი, რომელიც უზრუნველყოფს მოწინავე ხაზს — ნავთობის მოპოვებას. და გადაწყვიტეს აქ ნამდვილი ქალაქის აშენება, რაც ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მშენებლებს მიანდეს.

ახლა კოგალიმმა უკვე ქალაქის სტატუსი მიიღო და იქ ათიათასობით ადამიანი ცხოვრობს. საღამოს ბინდბუნდში ლემბიტ პოტიმ თავისი „კრაზით“ ჩამიყვანა მშენებარე მასივში — იგი ხუთ კილომეტრზეა სავახტო დაბიდან.

— აი ტალინის ქუჩა, გვერდით კი ვილნიუსის, რიგის ქუჩებია. ესეც მეგობრობის მოედანი. აქ სკოლაა, ქალაქში პირველი — იგი ჩვენ ავაშენეთ ლატვიელებთან და ლიტველებთან ერთად სამშენებლო პროგრამის გადამეტებით. ზუსტად ასევე ავაგეთ პირველი საბავშვო ბაღი — მენავთომა, — სამშრომელი ჩარჩოები საიმედოდ გვიცავს სიცივისაგან, კედლებიც დამატებით დათბუნებულია. ეს პროექტი ესტონელმა არქიტექტორებმა შეიმუშავეს. ვიცით, ვისთვის და სად ვაშენებთ.

— დიახ, რესპუბლიკას აქვს ესტონეთის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დიდი გამოცდილება. დაბა კიჩერა ბამზე და კოსტომუკშა კარელიაში, პიმი და კოგალიმი ტიუმენის ოლქში — აი ის წერტილები ქვეყნის რუკაზე, სადაც რესპუბლიკის წარგზავნილები შრომობენ. 1987 წლიდან კი ამ ნუსხას შეემატა ტალინის მორიგი ქუჩის ახალი მისამართი; ჩერნობილიდან ორმოცდაზუთ კილომეტრზე დაიწყო ახალი ქალაქის სლავუტიჩის მშენებლობა ატომური ელექტროსადგურის ენერგეტიკოსებისათვის. მას აგებენ უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და ბალტიისპირეთის წარმომადგენლები. ესტონეთის სს რესპუბლიკის წილია ოცი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი და 230-ადგილიანი სასადილო. უკვე წელს დაგეგმილია პირველი ახალმოსახლეობა.

— პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ მშვენივრად მახსოვს, ომის შემდეგ ნახგრეგებად ქცეულ ესტონეთს როგორ აშენებდა ისეთივე ერთასულოვანი მრავალეროვნული ოჯახი, როგორც კოგალიმში, — გვითხრა სავახტო დაბისაკენ გზად მიმავალმა ლემბიტ პოტიმ. ახლა მეც ასეთივე წევრი ვარ ჩვენი ქვეყნის მშენებელთა ერთიანი ოჯახისა.

Ვ. ᲪᲘᲝᲜᲘ.
ᲙᲝᲒᲐᲚᲘᲛᲘ — ᲢᲐᲚᲘᲜᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ—ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ. ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ—ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს ერთმანეთთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის კარგი ტრადიცია აქვთ, რომელიც სულ უფრო მტკიცდება და ღრმავდება.

◆ ესტონელი მშრომელები გვიგზავნიან სხვადასხვა ელექტროგადამრთველებს, ხარჯსაზომებს, თუ აღმრიცხველთა კომპლექტებს, ბოღო ამომრთველებს, მრავალფეროვან რკინა-კავეულის ნაწარმს, ელექტროძრავებს, რადიოსაზომ ხელსაწყოებს და სხვა პროდუქციას.

◆ საქართველოდან ესტონეთში იგზავნება ფოლადის მილები და ნაგღინი, ჩარხები, ელექტროურიკები, სხვადასხვა ელექტროგამშვები, მიკროძრავები, ელექტროშესაღუღებელი აპარატები, ამწის ძრავები, ელექტროსაიზოდაციო მასალები, მრავალი მარკის ტრანსფორმატორები, მუდმივი დენის ძრავები და სხვა ნაწარმი.

◆ საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის შემწეობით გამომცემლობებმა „საბჭოთა საქართველომ“, „მერანმა“, „ნაკადულმა“ მარტო ბოლო ორ წელიწადში ქართველ მკითხველს გააცნეს ესტონური პოეზიისა და პროზის შესანიშნავი ნიმუშები, მაგალითად, 1985 წელს გამოვიდა იან კროსის მოთხრობა „ოთხი მონოლოგი წმინდა გიორგის გამო“ (თარგმნა ლიდი მჭედლიშვილმა), ფრიდებერტ ტუგლასის „ასი მარგინალია“ (თარგმნა ამირან კაკაძემ). შარშან გავეცანით თანამედროვე ესტონელი პოეტების ლექსების კრებულს „ჩიტი და ნეკერჩხალი“ (მთარგმნელები — დავით მჭედლური და გრიგოლ ჯუღუხიძე), რაფდის საბავშვო მოთხრობებს „გუფთა“, „წაღა-ნახევარი და ხავსიწვერა“ (თარგმნა ნათელა ჩირაძემ). მაღე გამომცემლობა „განათლება“ გამოუშვებს ენ ვეტენასას მოთხრობების კრებულს „კვერცხები ჩინურად“ (თარგმნა ამირან კაკაძემ).

ესტონეთში კი შარშან ცაღკე წიგნად დაიბეჭდა ოთარ ჭიღაძის პოემა „სინათლის წვიმწყალი“ (მთარგმნელები — იუტა ბედია და აინ კაღეტი).

ᲰᲐᲜᲓᲝ ᲠᲣᲜᲔᲚᲘ.
ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ. ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲬᲐ

ალუბალი ალუბლობს,
შინ ბრუნდება არვე, —
მშობლიური მიწაა,
მშობლიური არე...

ჯეჯიმივით ჯეჯილი,
ირგვლივ ცვრცვის ბაღი, —
მშობლიური სოფელი,
გულთბილი და ლაღი.

თოვლი თოვს თუ წვიმა წვიმს,
სიბრძნე უფრო ღვინდება,
გადაკრული ხუმრობაც
ღადარივით ღვივდება.

ქერა ქალო, ქარივით
მარიშურით ჩამავლი,
მშობლიური სიტკბოა,
მშობლიური მარილი.

ვინ ტირის, ვინ იცინის,
რომ ჩურჩულებს, ქერია.
კურთხეული კუთხეა,
მშობლიური კერია.

ჩიტუნების ჭიკჭიკი,
გაღვიძება ბუნების,
მშობლიური მხარეა,
ამღერება ბუნების!

ზოგი უკვე წასულა,
მეტი დარჩა მზესთან,
მშობლიური მიწაა,
მშობლიური ზეცა!

თარგმნა **ᲜᲐᲜᲐ ᲦᲕᲘᲜᲝᲕᲐᲫᲔ.**

ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲒᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

◆ **ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ** ხელისუფლების წლებში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ესტონეთში გაიზარდა 55-ჯერ, მათ შორის მანქანათმშენებლობის პროდუქციისა — 268-ჯერ, თევზის მრეწველობისა — 236-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება — 214-ჯერ.

◆ **ᲨᲕᲘᲪ** დღეში რესპუბლიკის მრეწველობა მთელი 1940 წლის მოცულობის პროდუქციას უშვებს. შრომის ნაყოფიერება ამ დროის მანძილზე 17-ჯერ გაიზარდა.

◆ **ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ** სტაბილური ეკონომიკური კავშირურთიერთობა აქვს მსოფლიოს 90-ზე მეტ სახელმწიფოსთან. ექსპორტის მთავარი შემადგენელი ნაწილია ხელსაწყოთმშენებლობისა და მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია, ცელულოზა და ქაღალდი.

◆ **1940** წელთან შედარებით საცხოვრებელი ფონდი ერთი-სამად გაიზარდა. სუფაღილ ქალაქის ერთ მცხოვრებზე ახლა 17 კვადრატული მეტრი საერთო ფართობი მოდის.

◆ **ᲓᲦᲔᲡ** ყოველ 10 000 მცხოვრებზე მოდის 46 ექიმი და 114 ფერშალი. ბურჟუაზიულ ესტონეთთან შედარებით ერთი კაკის სამედიცინო მომსახურების ხარჯები წელიწადში დაახლოებით 75-ჯერ გაიზარდა.

◆ **ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ** ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში გამოიცა 70 ათასზე მეტი დასახელების თითქმის 500 მილიონი ეგზემპლარი ტირაჟის წიგნი. ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში გამოდის 12 წიგნი, რაც ყველაზე დიდი მაჩვენებელია მსოფლიოში.

◆ **ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ** დიდი ყურადღება ეთმობა ბუნების დაცვას. შეიქმნა დაჰემაას ეროვნული პარკი, რომელიც პირველი ამგვარი პარკია საბჭოთა კავშირში. დაცულია ფაუნის 215 სახეობა და ფლორის 119 სახეობა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ძველი ტალინის ერთი კუთხე; ტალინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობენ საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ახალგაზრდები; 12 წლის ესტონელი ალი თეალას კერამიკული ნამუშევარი გამომცემლობა „მერნის“ საგამოფენო დარბაზშია წარმოდგენილი; ესტონელი ქალიშვილები.

ᲮᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ.

ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“) და საკდესის ფოტო.

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ მზის პირველმა სხივებმა გაფანტა დილის ნისლი და ახალი ტალინის ნავსადგურში ნელა შემოვიდა „მარშალი როკოსოვსკი“. აქ ასი ათასი ტონა წყალწყვეს ასეთი გიგანტის გამოჩენა დიდი მნიშვნელობის მოვლენა გახდა — ასეთი სიმძლავრის საკეანო გემი არ მიუღია საბჭოთა კავშირის ბალტიკის არც ერთ ნავსადგურს.

მშრალტვირთიანი გემი დიდებული სანახავი იყო, როცა შემოტრიალდა და ფრთხილად მიეყრდნო ნავმისადგომს გვერდით, ჯერ კიდევ რომ შერჩენოდა ატლანტიკის სიცივე. ხორუმები აამძრავეს სატვირთველებმა, რომლებიც „ამუშავებენ“ ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ბრძანებას, და ჩაუშვეს ტრიუმების გახსნილ ლიუკებში. ნავსადგური იწყებდა თავის ახალ შრომით დღეს.

სულ რამდენიმე წლის წინათ აქ ზღვის გარდა არაფერი არ იყო. ახალი ნავსადგური მას გამოსტაცეს ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, რომლებიც ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე. სოციალისტ ჟაქსიმბეტოვი, ლეონიდ ანტროპოვი, ანატოლი ონოლოვი, ნიკოლოზ დრენი, გაჭლამან რუსტამოვი: სამოცზე მეტი ახალგაზრდა ჩამოვიდა ესტონეთში როგორც დამკვრელური რაზმების მებრძოლი. გაუძლეს სუსხიანი ზამთრის ქარს და შემოდგომის გრიგალებს, მიწასაწოვი იარაღებით ამოიყვანეს ზღვაში ნაპირი და მკვიდრად ჩააშენეს მასში ახალი ნავსადგურის ტანი. გააპეს ზღვა მოლებითა და პირსებით, და ნავსაყუდელი მოსახერხებელი გახადეს დიდტონაჟიანი საკეანო გემების მისაღებად. ააშენეს სახლები, მაღაზიები, სკოლები და საბავშვო ბაღები. ააგეს მთელი ქალაქი — მაარდუ, რომელშიც. ახლა მენავსადგურეები ცხოვრობენ. ასე შეიქმნა ბალტიკაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ტექნიკურად აღჭურვილი ნავსადგური.

იმ ყმაწვილთაგან ბევრი, პირველებმა რომ დადგეს ხუთი წლის წინათ ფეხი ამ ნაპირზე და მზეს ხელით იჩრდილავდნენ, თვალს ადევნებდა „მარშალ როკოსოვსკის“ შემოსვლას და საკეანო გიგანტის ნავსადგურში შემოსვლის კამა სიამაყეს ვერ ფარავდა. დიახ, ახალი ტალინის ნავსადგური უკვე მუშაობს. მაგრამ ამავე დროს შენდება კიდეც. შარშან დეკემბერში მწყობრში ჩამდგარი პირველი ასამოქმედებელი კომპლექსი მხოლოდ დასაწყისია. კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. და მშენებელთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია საფუძვლიანად განავითარონ საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემა, გამოასწორონ სამგზავრო ტრანსპორტთან დაკავშირებული მდგომარეობა. ბევრი სხვა საზრუნავიც აქვს ნავსადგურის ინტერნაციონალურ კოლექტივს. მაგრამ დღეს მათი დავიწყებაც შეიძლება სულ რამდენიმე ბედნიერი წუთით, რათა შეეგებონ პირველ საკეანო გიგანტს.

„მარშალ როკოსოვსკის“ ეკიპაჟი ნავსადგურში სულ ცოტა სამ კვირას აპირებდა გაჩერებას. მაგრამ უკვე პირველ თორმეტ საათში მშრალტვირთიანი გემის ტრიუმები თითქმის ოცი ათასი ტონით დაცარიელდა. ნავსადგური ცხადყოფს თავის ტექნიკურ შესაძლებლობებს, დოკერები და ოპერატორები კი თავიანთ ოსტატობას. მთელი ქვეყნის გარჯით შექმნილი ნავსადგური გამოცდას აბარებს.

Ა. ᲢᲝᲢᲝᲑᲘ.
ᲛᲐᲐᲠᲓᲣ.

ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ავიახაზი პატარა რუხნუის კუნძულსა და მოონზუნდის არქიპელაგის ესტონეთის კუთვნილ საარემაას უდიდეს კუნძულს შორის იმდენად მცირე ხნის დაარსებულია, რომ მისი შეტანა ცნობარებშიც კი ვერ მოასწრეს. მაგრამ ეს ფაქტი სხვებთან ერთად საფუძვლად დაედო შორეული რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმას. საბჭოთა ხელისუფლების აღდგენამდე ეს მხარე ყველაზე ჩამორჩენილი და ღარიბი იყო. ახლა კი აქ, ისევე როგორც დიდ მიწაზე, სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს.

...ჩვენი თვითმფრინავი ტალინიდან მოფრინავს. ქვევით მოჩანს „გზატკეცილი, რომელიც საარემაას „დედაქალაქს“ ქალაქ კინგისეპს აკავშირებს ნავსადგურ როომასარესთან. გზატკეცილზე უწყვეტ ნაკადად გაბაწრულან თევზით, ხორცის პროდუქტებით, მარცვლეულით დატვირთული მანქანები. ეს ყველაფერი მატერიკზე. იგზავნება, იქიდან კი კუნძულელები საშენ მასალას, მინერალურ სასუქს, საწვავს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის საჭირო საათადარიგო ნაწილებს იღებენ. რაიონი უკვე კარგა ხანია ამარაგებს თავის მოსახლეობას ყველა ძირითადი სურსათით, ხოლო ბოლო წლებში იგი რესპუბლიკური მნიშვნელობის ახალი ბეღელი გახდა. აქ შეწყდა ადამიანების მიგრაცია სოფლიდან ქალაქში, მატერიკზე. ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ შეიძლება დაცარიელებული ხუტორის ნახვა, მაგრამ მათი რიცხვი დღითი დღე კლებულობს — ხალხი მშობლიურ მხარეს უბრუნდება.

ქარიშხლების ნაპირს ეძახის ხალხი ამ წარმტაც მხარეს. და განა მარტო იმიტომ, რომ კუნძული ქარების „გზაჯვარედინზე“ მდებარეობს: საარემაა ესტონეთის რევოლუციური მოძრაობის აკვანია. თოვლით დაფარული მიწის ფონზე თეთრ სუფრაზე ამოყვანილი გვირისტივით მოჩანს ძეგლებისაკენ მიმავალი ბილიკები. მათ შორის არის საარემაას 1919 წლის აჯანყების მონაწილე საბჭოთა ხელისუფლებისათვის დაღუპული მებრძოლებისა და საბჭოთა მეომრების — გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთაგან მოონზუნდის განმათავისუფლებლების მემორიალი. ქვის ფილებზე ამოტვიფრულია ესტონური, რუსული, უკრაინული, სხვა საბჭოთა ერების წარმომადგენელთა გვარები.

აი კინგისეპის აეროპორტიც — პატარა და შინაურულად მყუდრო. მალე დაიწყება მისი რეკონსტრუქცია — მან უნდა შეძლოს უფრო მძლავრი საჰაერო ლაინერების მიღება და საიმედო კავშირის დამყარება არქიპელაგის ყველა კუნძულთან, რომელთა რიცხვი ათასს აღემატება.

საღამოვდება. კოლმეურნეობა „საარე კალურის“ თავმჯდომარესთან ალდერ პიტკთან ერთად ორღობეში მივადიჯდ. ღობის იქით ბაიანი უკრავს, ისმის უკრაინული ხალხური სიმღერის ნაცნობი მელოდია. ვიცი, რომ აქაური მომხიბლავი ლანდშაფტი და განუმეორებელი ეროვნული კოლორიტი ყოველწლიურად უამრავ ტურისტს იზიდავს, მაგრამ ახლა — როცა ჯერ გაზაფხული არ დამდგარა რიგიანად?

— ეს ჩვენები მღერიან, მეგობარო, — ეღიმება თავმჯდომარეს. — მეურნეობაში ოცამდე ეროვნების წარმომადგენელი გვყავს და ყველანი ერთსულოვან ოჯახად ვცხოვრობთ, რადგან გვერდით ზღვაა: მკაცრი იმისადმი, ვინც მის კანონებს ვერ იცავს და გულმოწყალე იმისადმი, ვისაც შეუძლია მისი ბარაქის მოვლა და გამრავლება.

მოონზუნდის მებადურებმა მართლაც იციან ეს. შემთხვევით როდი უწოდებენ მოწინავე თევზსაჭერ კოლმეურნეობას ამ არქიპელაგის კოლექტიურ პატრონს. ეკონომიკური კეთილდღეობა მას საშუალებას აძლევს უფრო სუსტ მეზობლებსაც დაეხმაროს. ჩვენ ხომ საერთო საქმეს ვემსახურებით — ასე თვლიან კოლმეურნეები. ამიტომაც გვგონია, რომ უახლოეს წლებში გაიმართება წელში კუნძულების სანათესაოს ყველაზე პატარა წარმომადგენელი — რუხნუ.

„მებადურებს ზღვაში ადგილი აღარ ჰყოფნით, — წერდნენ ბურჟუაზიული ესტონეთის გაზეთები. — მათი ხვედრი სიღატაკე და შიმშილია“. სხვათა შორის, სულ ცოტა ხნის წინ კუნძულელთა ასეთივე ხვედრს დასტიროდნენ „თავისუფალი საშუალოს“ რადიოსმენებიც. მაგრამ მალე შეწყვიტეს მოთქმა-გოდება: ყოველ დღეს მოჰქონდა ახალი ფაქტები კუნძულელთა ახალი ცხოვრების შესახებ.

რა თქმა უნდა, გარდაქმნის მსვლელობაში პრობლემები წამოიჭრა და მათ გადაჭრას ერთი დღე, კვირა ან თვე როდი ეყოფა. ეს განსაკუთრებით პატარა კუნძულებს ეხება. და მაინც ხალხი დარწმუნებულია, რომ დასახული შესრულდება. მაგალითად, აბრუკის კუნძულზე რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით უპირატესობა ენიჭება სანაპირო თევზჭერის განვითარებას და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას. შემდგომი გეგმებით სანადირო სავარგულების განვითარებაა გათვალისწინებული. კიდევ უფრო გამკაცრდება ვილსანდის კუნძულს — საქვეყნოდ ცნობილი „ფრინველთა სამოთხის“ ბუნების დაცვის რეჟიმი. მუხუს კუნძული — ცნობილი ესტონელი მწერლის იუჰან სმუულის მშობელი მხარე — უპირატესობას სოფლის მეურნეობისა და თევზის რეწვის განვითარებას ანიჭებს. რუხნუ მეტყველეთა სამეცნიერო ბაზა ხდება. მნიშვნელობა არა აქვს სახალხო მეურნეობის სახელდობრ რომელ დარგს განავითარებენ კუნძულების პატრონები — მათ იციან, რომ დღეს წინა პლანზე ადამიანისათვის ზრუნვა დგას.

Ა. ᲙᲚᲝᲢᲛᲐᲣᲣ.
ᲙᲘᲜᲒᲘᲡᲔᲞᲘ.

ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲢᲐᲚᲦᲘᲡ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲖᲦᲕᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲢᲐᲪᲔᲡ



თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მასმრბივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზეც გახიხილეს პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის აქტუალური ამოცანები გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმი, თქვა მან, პრინციპულად ახალი ეტაპი იყო საზოგადოების განვითარებაში. მან არა მარტო დაადასტურა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის სტრატეგიული კურსის უცვლელობა, არამედ გაღრმავა კიდეც გარდაქმნის პრინციპული საფუძვლების გაგება, შეიმუშავა ისეთი მიდგომა, რომელიც გარდაქმნის შემქნილი გამოცდილებით არის ნაკარნახევი.

პარტიამ შეიმუშავა გარდაქმნის თეორიული პლატფორმა, განსაზღვრა პრაქტიკული საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი. ღღეს ყველაზე მთავარია პრინციპებს ხორცი შევასხათ პრაქტიკულად, ცოცხალი საქმით, ყოველდღიური და შეუპოვარი მუშაობით. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა დავძლიოთ — ფესვგადგმული ერთგულება კონსერვატიზმისადმი, ჯერ კიდევ არსებული განსხვავება სიტყვასა და საქმეს, ჩაბაფიქრებსა და პრაქტიკულ მოქმედებას შორის, უკუვაგდოთ ყოველივე ის, რაც ჯერ კიდევ მკვდარ ტვირთად აწევს გარდაქმნის ცოცხალ საქმეს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, წლების მანძილზე შექმნილი შეფერხების მექანიზმი უყოყმანოდ უნდა დაიმსხვრეს. ეს მექანიზმი რთული, მრავალსახოვანი და მრავალფეროვანია, განსაკუთრებით მაგრად აქვს ფესვი გადგმული ფსიქოლოგიაში, და მძლავრ დაბრკოლებად გვევლინება ახალი აზრისგებული დაფეფლების გზაზე. „მრწამსი გარდაქმნის დასაყრდენია“, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. უამისოდ გარდაქმნას ვერ მოვახდენთ. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და განვამტკიცოთ ჩვენი რევოლუციისა და აპრილის გაზაფხულის რწმენა, სიამაყე სოციალისტური სამშობლოსთვის.

გარდაქმნის პროცესი მოითხოვს ჟურნალისტთა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, კომპეტენტურობასა და გამჭრიახობას. დემოკრატიის შემდგომი განვითარება კარდინალური ამოცანაა მასმრბივი ინფორმაციის საშუალებები ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როცა ავითარებენ საჯაროობას, გულახდილობას, კრიტიკას, ანალიზებენ გარდაქმნის სიღრმისეულ პროცესებს.

მასმრბივი ინფორმაციის საშუალებანი თავისი ბუნებით ზუსტად და ყოველმხრივ უნდა ასახავდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და ჯგუფის ინტერესებისა და აზრების ურთიერთს სტრუქტურას. და ძალიან კარგი, როცა ჩვენი წამყვანი გაზეთები და ჟურნალები თავიანთ ფურცლებს უფრო ხელმისაწვდომს ხდიან შეხვედრებებისათვის, აწყობენ დისკუსიებს, გარდაქმნის მომწიფებულ საკითხთა განხილვას „მრგვალ მაგიდასთან“. თუმცა, ყოველივე ამაში ჯერ კიდევ არ გვყოფნის ტემპერამენტი, კონსტრუქციულობა, გაბედულება პრობლემის დაყენებაში. თავს იჩენს ძველი სენი — ზერელობა, „იდეის შიში“, ანალიზის შეცვლა ჭკუის სწავლებით. კვლავაც სუსტია დისკუსიების კულტურა: თუ აქებენ, ლამის ცაში აიყვანონ, ხოლო თუ აკრიტიკებენ, ლამის გააცამტვერონ. და სულ მთლად არ ვარგა, როცა ზოგიერთი რედაქცია უსმენს მხოლოდ „ცალი ყურით“, მხოლოდ და მხოლოდ იმათ, ვინც მათს თვალსაზრისს ეთანხმება. ეს არ არის დემოკრატიული. საწინააღმდეგო თვალსაზრისს ადამი წყაურუნა სიჯანსაღისა და ძალის ნიშანი როდია. როცა ერთი ნახევარსიმაღლე იცვლება მეორე ნახევარსიმაღლით, ამით ვნება მოსდის მხოლოდ სიმართლეს. ზოგჯერ გვაკლია გონივრულობა. ანალიზურობა, მკითხველთან დაინტერესებული დიალოგის უნარი. ვხვდებით ნაჩქარეობასაც, რაც არ მოწმობს პროფესიონალიზმის მაღალ გრძნობას.

თითოეული ჟურნალი და გაზეთი დემოკრატიის მძლავრი და ბასრი იარაღია. საზოგადოებრივი, საერთო-სახალხო, და არა პირადი იარაღი. ამიტომ შეუწყნარებელია ბეჭდვითი სიტყვის ძალას ვეყენებდეთ პირადი ანგარიშის სწორებისათვის, რაიმე ჯგუფური შეხედულებების თავსმოხვევისათვის, პიშპარიტების მიჩქმალვისათვის, ავარცელებდეთ ზოგიერთ ფაქტს და ვჩქმალავდეთ სხვებს, რითაც კი უნდა ვამართლებდეთ ამას. არადემოკრატიულია, როცა საჯაროობა ხდება უზნეო ნიადაგზე, იმათ ხელში, ვინც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ეძებს მხოლოდ პირად სარგებლობას. ამის შედეგად ცოცხლდება იგივე მოდუნება, რამაც უკვე ბევრი უბედურება მოგვიტანა.

და ბოლოს, საკითხი, რომელზეც ასევე გულახდილად უნდა ვილაპარაკოთ, ეს არის ეკონომისტური გამოსვლების ალალმართლობის, დამარწმუნებლობის საკითხი. ჯერ კიდევ ხშირია უზუსტობანი, ფაქტობრივი შეცდომები, რაც ბევრ საყვედურს იწვევს. მასმრბივი ინფორმაციის საშუალებანი უნდა იბრძოდნენ პიროვნების ამაღლებისათვის, მისი ღირსებისათვის და არ აკნინებდნენ მას უმარცლობითა და უსამართლობით.

სწორად ვერ მივიჩნევთ იმასაც, როცა გაზეთის გვერდები სავსეა უპირატესად რედაქციათა შტატებანი მუშაკების მასალებით, გარდაქმნის მთავარი მოქმედი პირები კი — შუბები, ბურღები, ინტელიგენცია — დისკუსიისაგან გარიყულნი რჩებიან. ეს არ არის დემოკრატიული და არ შეესაბამება გარდაქმნის პროცესში, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის კურსს.

პრესა კარგ საქმეს აკეთებს, როცა აქტიურად იჭრება ცხოვრებაში, მის სირთულეებსა და წინააღმდეგობებში, გვიჩვენებს ჯანსაღ პროცესებს და იმათ, ვინც ხელს უშლის ამ პროცესებს. ეს მთავარია, რაც დღეს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს ახასიათებს. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ის ქაფიც, ცალკეული გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებს რომ ედება. ლაპარაკია არა იმ მწვავე პრინციპულ კრიტიკულ გამოსვლებზე, რომლებიც უკვე პრესის ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმა ხდება. საქმე ის არის, რომ თავისი სერიოზულობით, სიღრმით ქმედითი გარდაქმნის პრობლემები ყოველთვის კარგად, მკაფიოდ და ზუსტად არ შუქდება. ზოგჯერ არ იგრძნობა შეტევითობა, დაკვირვებულობა, ანალიზურობა.

ავიღოთ სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების მშენებლობის თემა. თითქოს გასაგებია, რომ, თუ ძვრები არ მოხდა სოციალურ ინფრასტრუქტურაში, ეკონომიკას ვერ წამოვწევთ, ცხოვრების ხარისხს ვერ გავუმჯობესებთ. მაგრამ ყურადღება ამ საკითხებს ჯერ კიდევ ნაკლებად ეთმობა. პრესა ყოველთვის რიდი აჩვენებს, თუ კონკრეტულად ვინ არის დამნაშავე გეგმების შეუსრულებლობაში, საცხოვრებელი სახლების, სბავშვო დაწესებულებების, სკოლებისა და საავადმყოფოების, თეატრებისა და კულტურის სახლების მშენებლობის ჩაშლაში.

ანდა ავიღოთ ისეთი პრობლემა, როგორიც არის კოოპერაციული მოძრაობისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარება. გვჭირდება სწორი ფსიქოლოგიური მიდგომა მისი გაშუქებისადმი. აი სად არის საჭირო დასაბუთებულობა, საჯაროობა, პრინციპულობა, გამოცდილების პირველი ყლორტების გაშუქება, აღნიშნა ორატორმა. მაგრამ აქ კვლავ ბატონობს რუტინა, არაეფექტიანობა.

ანდა შეავეხოთ ისეთ საკითხებს, როგორიც არის ხარისხი, დისციპლინა, ყველგან და ყველფერში სათანადო წესრიგის დამყარება, ახალი ტიპის ხელმძღვანელის ჩამოყალიბება და მუშაობის ახალი სტილის დამკვიდრება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ადგილობრივი პრესის საქმიანობა და ბევრი სხვა რამ. გარდაქმნის ძირეული პრობლემების მკაფიო, მწვავე და ღრმა დაყენება მთავარი ნიშანია, რომლითაც შეიძლება ვიმსჯელოთ პრესის მებრძოლურობაზე, პასუხისმგებლობასა და ეფექტიანობაზე.

დღეს უპირველესი ამოცანაა აქტიურად ვიმოქმედოთ გარდაქმნის ყოველი მიმართულებით, განვავითაროთ საჯაროობა და კრიტიკა, კონტროლი ქვემოდან, ვამრავლოთ სოციალისტური მორალურ-ეთიკური ღირებულებანი, გავაღრმაოთ მიმდინარე პროცესების რევოლუციური ხასიათი, ჩვენი საზოგადოება ავიყვანოთ ახალ თვისებრივ საფეხურზე.

(საკდესი).

ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე



საბჭოთა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 1987 წლის 29 მარტს გარდაიცვალა დიდი საბჭოთა მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული საეროთმეცნიერო სკოლის აღიარებული მეთაური, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ და ნომხეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, ძველი ქართული ენის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი აკაკი გაბრიელის ძე შანიძე.

აკაკი შანიძემ სახელოვნად განვლო საუკუნოვანი ღრმაშინაარსიანი ცხოვრების გზა და უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა დაუტოვა თავის ხალხს. ბუნებრივმა ნიჭმა, ღრმა აკადემიურმა განსწავლულობამ, არაჩვეულებრივმა რუდუნებამ, მშობლიური კულტურისა და მეცნიერების სიყვარულმა შეაძლებინა მას ყოფილიყო ფუძემდებელი ან ეტაპის შემქმნელი ქართველოლოგიის ისეთ სპეციალობებში, როგორიც არის ქართული ენის მეცნიერული გრამატიკა, ქართული დიალექტოლოგია და ფოლკლორი, უძველესი ქართული ხელნაწერი და ეპიგრაფიკული ძეგლების კრიტიკული პუბლიკაცია, რუსთველოლოგია, ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები.

აკაკი გაბრიელის ძე შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს ს. ნოღაში (საჯავახოში). სოფლის ბრძოლელ სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1907 წელს. ამავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. აქ ეზიარა სტუდენტი ა. შანიძე მსოფლიო სახელის მქონე ორიენტალისტთა — ნ. მარის, ნ. ადონცის, ვ. უუკოვსკის, ი. კრაჩკოვსკის, ი. ბოდუენ-დე-კურტენეს, დ. შჩერბის და სხვათა ნააზრევს. ა. შანიძის მეცნიერული მუშაობის წარმართვაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა.

აკაკი შანიძემ 1913 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და ნ. მარის წინადადებით დატოვებულ იქნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად. იგი სტუდენტობიდანვე ჩაება პეტერბურგის მძლავრი ქართველოლოგიური სკოლის მუშაობაში. მაგრამ მალე, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, თბილისს მოაშურა და მხარში ამოუდგა ივანე ჯავახიშვილს ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად გაშლილ ორგანიზაციულ მუშაობაში. ამ საქმეში იგი, პროფესორ ი. ყიფშიძესთან ერთად, ივანე ჯავახიშვილთან ყველაზე აქტიური თანამოსაგრე იყო. აკაკი შანიძე იყო თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი კოლეგიის წევრი, ხიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანი, პროფესორთა საბჭოს მდივანი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგე, საგამომცემლო და სასტამბო საქმის ორგანიზატორი; უნივერსიტეტის გახსნის დღიდან კითხულობდა სალექციო კურსებს არაბულ და ნომხურ ენებში, ხოლო 1919 წლიდან, პროფესორ ი. ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ, განაგებდა ქართული ენის კათედრას, მიმყავდა რამდენნიმე საუნივერსიტეტო კურსი: ქართული გრამატიკისა, დიალექტოლოგიისა, სვანური ენისა, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და სხვ.

1920 წელს აკაკი შანიძემ თბილისის უნივერსიტეტში პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: 1945 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე განაგებდა ძველი ქართული ენის კათედრას. 1939 წელს ა. შანიძე აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1941 წელს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელ წევრად. 1941 წლიდან ამავე აკადემიაში განაგებდა ხაზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, ხოლო 1948-1950 წლებში იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

აკაკი შანიძის საზოგადოებრივმა და მეცნიერულმა ღვაწლმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 1937 წელს იგი აირჩიეს პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად, 1968 წელს — იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, 1981 წელს — ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების წევრად.

უაღრესად დიდია აკაკი შანიძის დამსახურება ქართული და სხვა ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის კვლევის საქმეში. მას წილად ხვდა, დაედგინა ქართული ენის გრამატიკულ კატეგორიათა სისტემა. მეცნიერის ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგები თავმოყრილია „კანონიკურ მონოგრაფიაში „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, რომელიც ყველა ქართველოლოგის სახელმძღვანელოა.

ფახდაუდებელი წვლილი შეიტანა აკაკი შანიძემ ძველი ქართული ენის კვლევის საქმეში. მან გამოაქვეყნა ძველი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკა (1976 წ.), რომელიც ითარგმნა და გამოიცა სომხურ და გერმანულ ენებზე. მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა ძველი ქართული ტექსტების მეცნიერული პუბლიკაციის საქმე. ამ მიზნით მეცნიერმა დააარსა სერიები: „ძველი ქართული ენის ძეგლები“ და „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, რომლებშიც აკაკი შანიძემ და მისმა მოწაფეებმა გამოაქვეყნეს ქართული მწერლობის მრავალი პირველხარისხოვანი ძეგლი.

აკაკი შანიძე სამართლიანად ითვლება ნ. მართან ერთად ქართული დიალექტოლოგიის ფუძემდებლად. მისმა ნაშრომებმა განსაზღვრა ამ სამეცნიერო დისციპლინის მიმართულება. ა. შანიძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი შესანიშნავი ნაშრომი უძველესი ქართული წარწერებისა და საისტორიო დოკუმენტების შესახებ, რომლებშიც დასმული და გადაწყვეტილია საქართველოს ისტორიის, მისი კულტურის კარდინალური საკითხები.

ხრულიად განსაკუთრებულია აკაკი შანიძის დამსახურება უკვდავი შოთა რუსთაველის პოემის ტექსტის მეცნიერულად დადგენაში. იგი იყო პოემის არაერთი გამოცემის ხელმძღვანელი. მასვე ეკუთვნის რამდენიმე ათეული ნაშრომი პოემის ცალკეული ადგილების შესახებ. ა. შანიძემ აღადგინა და გამოსცა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“. მისი ხელმძღვანელობით შედგა პოემის ფაქსიმილიანი-ლექსიკონი. რუსთველოლოგიის განვითარებაში ფასდაუდებელია მისი წვლილისათვის ა. შანიძეს 1987 წელს მიენიჭა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ა. შანიძე მეგრულის, ლაზურის, სვანურის ფონეტიკური და გრამატიკური სისტემის სწორუპოვარი მკვლევარია. მასვე მეცნიერულად გამოსცა მრავალი სვანური და მეგრული ტექსტი.

აკაკი შანიძე ითვლება ქართული მეცნიერული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი ნაშრომები „ხევსურული პოეზია“ (1931 წ.) და „ქართული კილოები მთაში“ (1984 წ.) სანამუშოა არა მარტო მეცნიერული სიზუსტეთი, არამედ გამოქვეყნებული მახალების უაღრესად მაღალი მხატვრული დონითაც. ა. შანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მოძმე ხალხი და აზერბაიჯანელი ხალხების ენისა და ისტორიის საკითხებს. იგი სამართლიანად ითვლება მეცნიერული ალბანოლოგიის ფუძემდებლად. მის ღრმად მეცნიერულ სახელმძღვანელოებზე იზრდებოდა და იზრდება ჩვენი მოსწავლე სტუდენტი ახალგაზრდობა. ა. შანიძემ აღწარდა ქართველოლოგთა მთელი თაობები. მას უამრავი მოწაფე და მიმდევარი ჰყავს არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

აკადემიკოს აკაკი შანიძის მეცნიერულმა ღვაწლმა უდიდესი აღიარება პოვა ქართველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ახლახან, 1987 წლის თებერვალში გაიმართა და დიდი ქართველი მეცნიერის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

აკაკი შანიძე დიდ გავლენას ახდენდა თავის მოწაფეებზე არა მარტო მეცნიერული ნააზრევით, არამედ პიროვნული თვისებებითა და ცხოვრების წესითაც. მასში ჰარმონიულად იყო შერწყმული აკადემიზმი და უბრალოება, პრინციპულობა და მიმტევებლობა, ზღვრულ შესაძლებლობამდე მიყვანილი სიზუსტე.

1987 წლის 26 თებერვალს, როცა მხცოვან მეცნიერს დაბადების 100 წელი შეუსრულდა, მთელმა ქართველმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა ეს დიდი დღესასწაული.

აკაკი შანიძის დამსახურება საბჭოთა მეცნიერების წინაშე ღირსეულად დააფასეს კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო სამი ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის, ორი საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით.

აკადემიკოს აკაკი გაბრიელის ძე შანიძის — უდიდესი ქართველი მეცნიერის, დიდბუნებოვანი კაცის, ჰეშმარიტი მამულიშვილისა და ღირსეული მოქალაქის, თაობათა ბრძენი აღმზრდელის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში.

ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, ბ. ა. ანჩაბაძე, ა. ბ. გილაშვილი, ბ. ნ. ენუქიძე, ო. ბ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, ა. ა. კოჩეტოვი, ბ. დ. მგელაძე, ბ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, ბ. ბ. გუმბარიძე, ბ. ხ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, თ. ი. მოსაშვილი, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, ნ. ა. ფოფხაძე, ბ. ბ. ჩოგოვაძე, ა. ნ. თაბახელიძე, დ. ი. ჩხიკვიშვილი, ი. ს. ჟორდანია, ი. ბ. აბაშიძე, ნ. ს. ამაღლოგელი, ი. ო. ანდრიაძე, ა. ბ. ბარამიძე, თ. ვ. ბამფარელიძე, ს. ვ. დურგიშვილი, ნ. შ. ვასაძე, ქ. ბ. ლომთათიძე, ზ. კ. მახარაძე, ბ. ა. მელიქიშვილი, ე. ა. მეტრეველი, ე. ა. სეხნიაშვილი, ა. ს. ფრანგიშვილი, ი. ვ. ფრანგიშვილი, ბ. შ. ციციშვილი, ბ. ა. ძიძარია, შ. ვ. ძიძიგური, ე. კ. ხარაძე, ბ. ნ. ჯიბლაძე, ს. ს. ჯიქია.

გამოთხოვება

მოძღვარი

აკაკი შანიძე — ეს სახელი შვიდ ათეულ წელზე მეტია მთელ ერს ესახება როგორც სიმბოლო ქართული მეცნიერული აზრის სიმძლავრისა, მშობლიური ენის მისაბაძი სამსახურისა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის კი ეს სახელი ცოცხალ ისტორიას ეტოლება, რამდენადაც იგი იყო ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი მესაძირკველე, მისი განვითარებისა და წინსვლისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. რაოდენ სამწუხაროა, რომ შეწყდა ამ დიდებული მეცნიერისა და მოღვაწის სახელოვანი ცხოვრების გზა.

აკაკი შანიძეს არასოდეს მოჰკლებია პატივი და დიდება, ჯილდოები და ტიტულები, მაგრამ ყველაზე დიდი საზღაური მისი მართლაცდა ტიტანური შრომისა გახლდათ ჰეშმარიტი სახალხო სიყვარული, რომელიც მხლოდ რჩეულთა ხვედრია. ერი შეუმცდარი ალღოთი არჩევს ნამდვილ მამულიშვილს და კუთვნილს მიაგებს მას. მაინც სულ სხვა იყო უნივერსიტეტის სიყვარული აკაკი შანიძისადმი.

დღეს უნივერსიტეტი ეთხოვება თავის დიდ მოძღვარს, მრავალათასიანი კოლექტივის გამოჩენილ წევრს. ამერიდან აკაკი შანიძე მარადისობის ბინადარია. იგი თავისი დიდი მასწავლებლისა და თანამებრძოლის ივანე ჯავახიშვილის გვერდით დაიმკვიდრებს განსასვენებელს.

წელთა სიმრავლის მიუხედავად, ცხოვრების ბოლო დღეებამდე განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას ბატონი აკაკი, ახალი მეცნიერული გეგმები ჰქონდა, გამოუმზეურებელი ძეგლების დასტამბვაზე ოცნებობდა, ქართული ენის ახალ საიდუმლოებათა ამოცნობაზე ფიქრობდა, ახალი ლექსიკონების შედგენას ხელმძღვანელობდა. ახლა მისმა მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა უნდა განაგრძონ მის მიერ დაწყებული საქმე. ეს იქნება დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის ყველაზე უფრო ღირსეული ძეგლი. დიდო მოძღვარო, მსუბუქი იყოს თქვენთვის თქვენგან ხელდასმული უნივერსიტეტის მიწა.

ნოდარ ამაღლობელი.

სასიქადულო მამულიშვილი

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან უკანასკნელი წარმომადგენელი იმ ქართველ მოღვაწეთა შესანიშნავი პლეადისა, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ მეცნიერებას და ამით შეუფასებელი ღვაწლი დასდეს ჩვენს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე კულტურას.

ქართული მეცნიერება ბედნიერი იყო იმით, რომ მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი და, მაშასადამე, ამ მეცნიერების თვალსაზრისით, კლასიკოსი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე აქტიურად მოღვაწეობდა და თანამშრომლობდა რამდენიმე მომდევნო თაობის ქართველ მეცნიერებთან, ქმნიდა ახალ-ახალ მეცნიერულ ღირებულებებს თავის მოწაფეებთან და მოწაფეთა მოწაფეებთან ერთად. ასეთ ბედნიერებას ცოტა ვისმე თუ არგუხვნა ბედი; ეს ხომ გამონაკლისი შემთხვევაა მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში, რომ გამოჩენილი მეცნიერი ას წელს აღწევდეს და ამ დროისათვის ისევე საღად აზროვნებდეს და ნაყოფიერად მუშაობდეს, როგორც შემოქმედებითი აღმავლობის საუკეთესო წლებში.

აკაკი შანიძის ხანგრძლივი ცხოვრება საუკეთესო მაგალითია მთელი სიცოცხლის, მანძილზე ერთი დიადი მიზნის სამსახურისა. მშობლიური ენისა და ისტორიის სიყვარულმა განსაზღვრა მთელი მისი შემოქმედებითი გზა. მთელი თემატიკა მისი მეცნიერული მოღვაწეობისა.

მადლიერი ქართველი ხალხი თავის სასიქადულო შვილს მუდმივ ადგილსამყოფელს დაუმკვიდრებს მის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში, სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად, დიდი დიდი მასწავლებლის, თანამებრძოლისა და მეგობრის ივანე ჯავახიშვილის გვერდით.

არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ისინი კვლავ გაერთიანდებიან თავიანთი პირმზის — ქართული უნივერსიტეტის წმინდა მიწაზე. მათი ღვაწლი არასოდეს წარიშლება ქართველთა მეხსიერებიდან.

თამაზ გამყრელიძე.

დედაენის მოჭირნახულე

აუჭოველია და განუზომელი აკაკი შანიძის ღვაწლი და დამსახურება საბჭოთა მეცნიერებაში. მის სახელთან არის დაკავშირებული ერთ-ერთი უძველესი ენის — ქართული ენის ფენომენის ამოცნობა, ენისა, რომლის ფესვები საუკუნეთა წყვდიადში იკარგება.

ჩვენი ენა ცოცხალი მუზეუმია. მის დაფენებში დაცული „ენობრივი ექსპონატები“ მანიშნებელია ერის ინტელიგენციური ცხოვრების რეალიების, საუკუნეთა სიღრმეში შემუშავებული ტრადიციებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის. ნიშანდობლივი თვისებებისა. გიორგი მერჩულეს მიერ „ფრიადი ქვეყანა“ — მთლიანი საქართველო — დახასიათებულია ენის ნიშნის კვალობაზე; ერის ცნების დეფინიციისათვის მისთვის ამოსავალია ენობრივი კონსოლიდაციის აღიარება. მეათე საუკუნის მწერლის ეს ფორმულირება უთუოდ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მკაფიო გამოხატულებაა. აკაკი შანიძე — ერის შემადუღებელი და შემკრავი ქართული ენის მესაიდუმლეა.

აკაკი შანიძეს წილად ხვდა საბჭოთა საქართველოში მეთაველობა და საფუძველდება ქართველთმეცნიერების ერთ-ერთი დარგის — ქართველური ენათმეცნიერებისა. იგი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის შემქმენელი, ახალი კატეგორიების დამდგენი, ჩვენი მდიდარი მეტყველების აღნაგობაში ღრმად ჩახედული და მისი შინაგანი ბუნებისა და თვისების მკვლევარია.

აკაკი შანიძემ სათავე დაუდო ქართული ცოცხალი კილოკავების მეცნიერულ შესწავლას და ბუნებრივ-ბუნებრივ ნაშრომებით ჩაგვახედა ხალხური მეტყველების უძირო ზღვაში. მანვე ითავა ქართული ენის სიტყვაბრივი ფონდის გამომზეურება და იმ საუნჯის დღის სინათლეზე გამოტანა, რომელიც დაცულია ჩვენი ენის უკიდეგანო საგანძურში.

აკაკი შანიძეს ეკუთვნის ფუძის დამდები ნაკვლევები ქართული ენის განშტოებების შესწავლის დარგში, ენა-ტომებისა, რომელთა მიმოქცევები დიდად ფასეულია ჩვენი საერთო დედაენის ისტორიული საკითხების გასაშუქებლად.

აკაკი შანიძემ, როგორც მისი დიდი მასწავლებლის ნიკო მარის კვალზე მდგომმა, ახალ ნიადაგზე დაამყარა ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების მეცნიერულ-ფილოლოგიური გამომზეურება და არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი უძველესი ტექსტის კრიტიკულად დადგენილი და ფართო მეცნიერული აპარატით აღჭურვილი, გამოიტანა მზის სინათლეზე.

აკაკი შანიძის საკვლევაძიებო თემატიკაში გამორჩეული ადგილი უკავია რუსთაველის უკვდავ ქმნილებას, მისი ტექსტის კრიტიკულად დადგენას, შერყვნილი და დამახინჯებული ადგილების გამართვას და ზრუნვას პოემის აკადემიური გამოცემისათვის. ამასთანავე ჩვენი დიდი მკვლევარი ქართული ფოლკლორისტიკის მამამთავარია და ხალხურ პოეზიაში მიმობნეული მარგალიტების გამომმზეურებელი.

ვემშვიდობებით საუკუნის კაცს, ქართული მეცნიერების რაინდს და მოძღვარს.

ზოთა ძიძიგური.

საარაკოდ ვალმოხდილი

ჯერ კიდევ ბევრია ცოცხალი თბილისის უნივერსიტეტის იმ ფილოლოგ პირველკურსელთაგან, ვისაც 1930 წლის სექტემბერში პირველი ლექცია პროფესორმა აკაკი შანიძემ წაგვიკითხა. ის მაშინ 43 წლის იყო, გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი გამოკვლევა, მათ შორის ფუნდამენტური „ქართული ენის მორფოლოგია“. მისი სახელი ბრწყინავდა უნივერსიტეტის დამაარსებელთა გვერდით და ჩვენი სიყვარული ასეთი სახელოვანი მასწავლებლისადმი მართლაც დიდი იყო. ამ თაობამ, როგორც მომდევნო და დღევანდელმა თაობებმა, კარგად იცის, ვინ დავკარგეთ დღეს და ვინ იკრძალება აქ, მშობლიური უნივერსიტეტის გრძნეულ მიწაში ივანე ჯავახიშვილის თანამოსაგრეთა შორის.

აკაკი შანიძე უნივერსიტეტის დამაარსებელთა და მისი პირველი კოჰორტის უკანასკნელი მოჰიკანია. ას წელზე მეტი იცოცხლა ამქვეყნად, ერთადერთი მოესწრო თავის სახელოვან, ბრწყინვალედ მოწყობილ ასწლოვან იუბილეს. სულ ერთი თვის წინათ რომ გადაიხადა მთელმა ქართველმა ხალხმა, და დღეს გვიხდება კიდევ ერთი მოვალეობის შესრულება — სამუდამო განსასვენებლისათვის ჩვენი უსაყვარლესი აღმზრდელის მიბარება. მახსოვს, 1929 წელს, როცა უნივერსიტეტის ეზოდან გაიტანეს გენიოსი კაცის — ანდრია რაზმაძის ცხედარი, შალვა ნუცუბიძემ ყველას ცრემლი მოჰგვარა ტრაგიკული ფრაზით — „ცხრანი ჩამოვედით, ექვსნიღა დავრჩითო“. ახლა რაღა უნდა ვთქვათ, როცა იმ თაობიდან უკვე აღარავინ დარჩა — ყველა წავიდა საარაკოდ ვალმოხდილი და უკანასკნელად კარი აკაკი შანიძემ გაიხურა.

ძვირფასო აკაკი, ერის სულიერო მოძღვარო!

შენ უკვდავი ხარ შენი დიდი საქმეებით, შენი დიდი მეცნიერული ღვაწლით და არასოდეს გაჭრება აკაკი შანიძის სახელი მშობელი ერის ისტორიაში!

გიორგი ჯიბლაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ენისა და ლიტერატურის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 100 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

აკაკი გაბრიელის ძე შანიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მ. ტეტჩერი: შევძლებთ ვაწარმოოთ გულახდილი დიალოგი

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და შინაარსიანი ბეიზეტი პრემიერ-მინისტრის პოსტზე ჩემი ყოფნის მანძილზე,

ულტიმატუმი

ფაქტები • მოვლენები

კონსტრუქციული დიალოგი

მოსკოვიდან ცნობილია, ინგლისელ ჟურნალისტთა ერთ ჯგუფს, ინგლისელ ოფიციალურ პირებთან ერთად, ინგლისის ელჩი ბ. ბ. ბ. ბ. ... ...